

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
ქ. რუსთავში სს „რუსთავის აზოტის“ მიმდინარე საქმიანობის
(ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების
პროექტის სკოპინგის ანგარიშზე

30 ივნისი, 2020

მიგვაჩნია, რომ სს „რუსთავის აზოტის“ უარი უნდა ეთქვას ქ. რუსთავში მიმდინარე საქმიანობის (ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებისა და სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემაზე შემდეგი გარემოებების გამო:

✳ 1. კანონდარღვევით მიმდინარე პროცესი

2020 წლის 24 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისათვის [გამოქვეყნდა](#) შპს „რუსთავის აზოტის“ მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიშზე. გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, დაინტერესებულ საზოგადოებას სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები წარდგენა 2020 წლის 17 თებერვლამდე შეეძლო.

მწვანე ალტერნატივამ შენიშვნები სამინისტროში 2020 წლის 5 თებერვალს [წარმოადგინა](#). ჩვენ ვუთითებდით, რომ შპს „რუსთავის აზოტი“ ცდილობდა სკოპინგის დასკვნა ერთდროულად მოეპოვებინა დაგეგმილ და უკვე მიმდინარე უკანონო საქმიანობაზე - რაც კანონით არ არის დაშვებული.

✳ 1.1 2020 წლის 24 თებერვალს, სკოპინგის განცხადების განხილვისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი ვადის მიწურულს, მიღებული გადაწყვეტილების ნაცვლად, გამოქვეყნდა [განცხადება](#) ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების თაობაზე. სამინისტროს გაცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილი ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემული 2008 წლის 11 დეკემბრის N43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნა რიგი დარღვევები. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიზნით, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოფს გონივრული ვადების დადგენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოება სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაგრძელდება მას შემდეგ, რაც სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიზნით გონივრული ვადების განსაზღვრას“. არც ზემოხსენებულ გაცხადებაში და არც ამავე განცხადებაზე თანდართულ მინისტრის მოადგილის (ხატია წილოსანის, 2020 წლის 19

თებერვლის [#1913/01 წერილი](#)) წერილში არ იყო მითითებული წარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი.

※ 1.2. 2020 წლის 31 მარტს კვლავ გამოქვეყნდა [განცხადება უკვე შეჩერებული ადმინისტრაციული წარმოების კიდევ ერთხელ შეჩერების თაობაზე](#). ამჯერად განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკოპინგის ანგარიშში გამოვლენილ იქნა რიგი ხარვეზები, რის გამოც სამინისტრომ სს „რუსთავის აზოტის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციაზე შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება“. ამასთან, როგორც მინისტრის მოადგილის (ნინო თანდილაშვილის 2020 წლის 25 მარტის, [N3136/01 წერილი](#)) თანდართული წერილიდან ირკვევა, სამინისტრომ შეჩერებული ადმინისტრაციული წარმოების პირობებში მაინც გასწავა ძალისხმევა და სს „რუსთავის აზოტს“ მოუმზადა შენიშვნები და რეკომენდაციები სკოპინგის ანგარიშის სამინისტროში განსახილველად წარდგენამდე გადამუშავებისათვის. დოკუმენტის დახვეწაში სახელმძღვანელოდ, სამინისტროს შენიშვნებთან ერთად ნინო თანდილაშვილმა სს „რუსთავის აზოტს“ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებიც გაუგზავნა.

ამგვარი ქმედება სრულიად სცდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. დაუშვებელია ამ პროცესში სამინისტრო ასრულებდეს საკონსულტაციო კომპანიის ფუნქციას და რჩევებს აძლევდეს კომპანიას მისივე განსახილველი დოკუმენტის დასახვეწად. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მწვანე ალტერნატივას არ მოუმზადებია შენიშვნები კომპანიისათვის რჩევის გასაწევად; ჩვენს მიერ მომზადებული შენიშვნები განკუთვნილი იყო სამინისტროსათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გასათვალისწინებლად, როგორც ამას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღწერილი პროცესი მნიშვნელოვან კანონდარღვევად უნდა შეფასდეს და სამინისტრომ უნდა დროულად უნდა აღკვეთოს უკვე დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს ქმედება საწარმოსთან შეთანხმების (იხილეთ ვრცლად ქვემოთ) კანონსაწინააღმდეგო ნიშნებს შეიცავს უკანონო ქმედების კანონის ფარგლებში მოსაქცევად, რაც ვფიქრობთ დამატებითი გამოძიების საფუძველი უნდა გახდეს.

※ 2. განსახილველი დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული პრობლემები

※ 2.1 როგორც 2020 წლის იანვარში საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებული სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, სს „რუსთავის აზოტი“ ცდილობს სკოპინგის დასკვნა ერთდროულად მოიპოვოს დაგეგმილ და უკვე მიმდინარე უკანონო საქმიანობაზე. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია: „პროლოუქციაზე მოთხოვნის გაზრდის და ასევე კლების შესაბამისად, საწარმოში განხორციელდა ზოგიერთი საამქროს წარმადობის გაზრდა და ზოგიერთი პროდუქციის წარმოების შეჩერება, ამასთან, საწარმო ღდების მდგომარეობით, ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ასევე გვემავს ახალი საქმიანობის, კერძოდ, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და განთავსების უბნების და ტარა-შესაფუთი მასალების წარმოების საამქროსთან 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობას.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობები, კერძოდ, ზოგიერთი ქიმიური საამქროს წარმადობის გაზრდა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის და მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებად განიხილება და საჭიროებს ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი პროცედურების გავლას. სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ასევე N43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 და მე-6 პირობებით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც ეხება საწარმოში წარმოქმნილი

საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად საწარმოს ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მოწყობას, ხოლო, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და განთავსების უბნების მოწყობა, ზემოაღნიშნული კოდექსის პირველი დანართის მე-16 პუნქტისა და მე-5 მუხლის თანახმად ექვემდებარება გზმ-ს პროცედურას.

გარდა ამისა, საწარმოში განთავსებულია და ექსპლუატაციაში ისეთი დამხმარე მეურნეობები, როგორც არის: 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი; 1000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავები (საწარმოში წარმოებული პროდუქტის საცავები, საწარმოში შემოტანილი ნედლეულის საცავები და ზეთების მეურნეობა); ნარჩენების აღდგენის ობიექტები (ზეთების გაფილტვრის და რეგენერაციის პუნქტი; ტარა-შესაფუთი მასალების დამამზადებელი საამქრო). აღნიშნული საქმიანობები არ იყო განხილული არც 2008 და არც 2015 წლის გზმ-ს ანგარიშებში, ამიტომ, მათი საქმიანობა მიჩნეული იქნა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე მიმდინარე საქმიანობად და საჭიროებს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას“.

2020 წლის 5 თებერვალს სამინისტროსათვის წარდგენილ შენიშვნებში ვუთითებდით, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს უკანონო საქმიანობის „კანონთან შესაბამისობაში მოყვანის“ შესაძლებლობას.

კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; თუმცა, კოდექსის თანახმად, ეს შესაძლებლობა მხოლოდ იმ საქმიანობებს შეეხებოდა რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო. გარდა იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება სულ სხვა პროცედურის საფუძველზე ხდებოდა (მზადდებოდა ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი), მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროსათვის მიმართვის შესაძლებლობით სარგებლობის ვადა 2019 წლის 1 ივნისს ამოიწურა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე შეუძლებელი იყო დადებითი დასკვნის გაცემა. ამიტომ სამინისტრომ, სავარაუდოდ კომპანიასთან შეთანხმებით, 'მოიფიქრა' კანონის მოთხოვნების დაცვისაგან თავის არიდების გზა - სამინისტრომ თავად დააფალდებულა კომპანია მოემზადებინა სკოპინგის ანგარიში (უკვე მიმდინარე უკანონო) საქმიანობაზე, რომელიც არ შედის გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსის რეგულირების სფეროში.

✳ **2.2.** 2020 წლის 8 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ახალი [განცხადება](#) ქ. რუსთავში სს „რუსთავის აზოტის“ მიმდინარე საქმიანობის (ქიმიური მრეწველობა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებისა და სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

განცხადებაზე თანდართული სკოპინგის [ანგარიშის](#) თანახმად, „სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 30 აგვისტოს NDES219000022 და 2019 წლის 30 აგვისტოს NDES2190000228 ბრძანებების საფუძველზე, განხორციელდა საწარმოს შემოწმება და შემოწმების შედეგად გამოვლინდა რიგი დარღვევები. გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, სს „რუსთავის აზოტის“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 5 მარტის N2496/01 წერილით, **განესაზღვრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის სკოპინგის ანგარიშის მომზადება.** წინამდებარე ანგარიში მომზადებულია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 25 მარტის N3136/01 წერილში მოცემული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით, კერძოდ: ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობები (როგორც მიმდინარე, ასევე დაგეგმილი) განხილულია წინამდებარე სკოპინგის ანგარიშის 3.5; 3.6; 3.7; 3.8 და 4.5 თავებში, ინფორმაცია სამინისტროს მიწერილობის შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებებისა და აღნიშნული

ღონისძიებების განხორციელების ვადების შესახებ მოცემულია 1.2. ცხრილში. ხოლო ინფორმაცია, საწარმოს ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, საწარმოში არსებული მდგომარეობის შესახებ მოცემულია 6.6; 3.8; 3; 6.2; 6.3 და 6.7 თავებში.

პროდუქციაზე მოთხოვნების გათვალისწინებით, საწარმოში განხორციელდა ზოგიერთი საამქროს წარმადობის გაზრდა და ზოგიერთი პროდუქციის წარმოების შეჩერება, ამასთან, საწარმო, დღეის მდგომარეობით, ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე და ასევე გეგმავს ახალი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის უბნის მოწყობას და ტარა-შესაფუთი მასალების წარმოების საამქროსთან, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობას.

საწარმოში განთავსებულია და ექსპლუატაციაშია ისეთი დამხმარე მეურნეობები, როგორც არის: 1000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავები (საწარმოში წარმოებული პროდუქციის საცავები, საწარმოში შემოტანილი ნედლეულის საცავები და ზეთების მეურნეობა); ნარჩენების აღდგენის ობიექტები (ტარა-შესაფუთი მასალების დამამზადებელი საამქრო). აღნიშნული საქმიანობები, არ იყო განხილული არც 2008 და არც 2015 წლის გზშ-ს ანგარიშებში, ამიტომ, მათი საქმიანობა მიჩნეული იქნა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე მიმდინარე საქმიანობად“.

ანუ, განსახილველ შემთხვევაში არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ, თურმე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლის 5 მარტის N2496/01 წერილით დააგალა კომპანიას სკოპინგის ანგარიშის მომზადება, მათ შორის, უკვე მიმდინარე უკანონო საქმიანობაზე.

რა თქმა უნდა, სამინისტროს ვერანაირი წერილი და/ან გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების უგულებელყოფის საფუძველი. სამინისტროს არ ჰქონდა უფლება დაეგალდებულებინა კომპანია სკოპინგის დასკვნა მოეპოვებინა უკანონო საქმიანობაზე და ამტერად, არ აქვს უფლება განიხილოს სკოპინგის ანგარიში, რომელიც მკაცრად დაგეგმილ საქმიანობას უნდა ეხებოდეს და ეხება მიმდინარე უკანონო საქმიანობას.